ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

დიმიტრი შველიძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

აკაკი ჩხენკელის ფაქტორი*

„მაშასადამე, დღის წეს-რიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანათ...“[1]

ეს სიტყვები, როგორ ცნობილია, ნოე ჟორდანიას მოგონებიდანაა, როცა ის იხსენებს 1918 წლის აპრილის ბათუმის კონფერენციის ეპიზოდს და საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების წინა დღეებს. ეს სიტყვები თავისებური თვითაღიარებაცაა. ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა, ხომ შეურიგებლად ებრძოდა არამცთუ დამოუკიდებლობის, არამედ ავტონომიის მომხრე ეროვნულ ძალებს. მესამე დასელები 10-15 წლის განმავლობაში ემორჩილებოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას, რომელიც იმპერიის დაპყრობილი ხალხებისათვის მხოლოდ საოლქო თვითმმართველობის დაპირებას იმეტებდა.

კიდევ ერთი ეპიზოდი წარსულიდან. 1904 წელს ჟენევაში შედგა საქართველოს პირველი ინტერპარტიული კონფერენცია, რომლის შედეგადაც, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ ქართველი ავტონომისტები ანუ გაზ. „საქართველოს“ ჯგუფი, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები და უპარტიო პატრიოტული ძალები. კონფერენციაზე მყოფმა ქართველმა სოციალ- დემოკრატებმა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, შეუძლებლად ჩათვალეს „ნაციონალისტებთან“ გაერთიანების შესაძლებლობა: „ჩვენ არ შეგვიძლია საერთო რეზოლუციები გამოვიტანოთ „საქართველოელებთან“ და ანარქისტებთან

* კვლევა [FR-24-19560] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

[1] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული (მოგონებანი).უშანგი სიდამონიძის ბოლოთქმით. თბ. 1990, გვ. 89.

ერთად... ამიტომ ჩვენ მივდივართ"[2] – აქამდეც და ამის შემდეგაც, რსდმპ და მის შემადგენლობაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები განუწყვეტლად ებრძოდნენ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და მის წარმომადგენელ პოლიტიკურ ჯგუფებს.

აი, ამ მძიმე ურთიერთდაპირისპირების ფონზე, 1912 წლის დეკემბერში, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმა სოციალ-დემოკრატი დეპუტატის აკაკი ჩხენკელის ხმა რომელმაც არევ-დარევა შეიტანა ქართულ და საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაში.

იმისათვის რომ აკაკი ჩხენკელის იმ პერიოდის ეროვნული კრედო გავითვალისწინოთ, ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ მის მიერ წარმოთქმული სიტყვა 1912 წლის 10 დეკემბერს, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში. ეს სიტყვა, რუსეთის ხელისუფლების გასაგონად იმდენად არ იყო თქმული, რადგან ისინი მაინც არაფერს არ გაითვალისწინებდნენ, არამედ პირველ რიგში – რუსეთისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მისამართით. რამდენიმე თეზისი მოხსენებიდან.

1. „ნაციონალური მომენტის წინ წამოწევა და ხაზგასმა არ წარმოადგენს არანორმალურ მოვლენას" – ესეც და ქვემომოყვანილი ციტირებები ჩხენკელისაა.

2. „ჩემი მსოფლმხედველობა ოდნავადაც არ მიშლის ხელს დავდგე ჩემი ხალხის **კულტურისა და ზოგადად ინდივიდუალიზმის სადარაჯოზე,** პირიქით, მავალდებულებს მტკიცედ ვემსახურო ამ ამოცანას. მაგრამ **საკუთარი ხალხის დაცვა ეროვნული ჩაგვრისაგან** ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ჯერ ერთი, თვალი დახუჭო თვით ამ ერის შიგნით მიმდინარე სოციალურ ბრძოლაზე, მეორეც – დაივიწყო მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერების საერთო ინტერესები".

3. საქართველოს რუსეთთან „შეერთება მოხდა განსაკუთრებული, ორივე ქვეყნის მონარქთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატის ძალით, რომელიც ქართველ ხალხს ყველა საშინაო საქმეში სრულ ავტონომიას ანიჭებდა. მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოთ, ერთი-მეორის მიყოლებით, **ყველა ავტონომია წაართვა, რომელსაც ეს საერთაშორისო აქტი ითვალისწინებდა.** რაღაც დაუჯერებელი ამბავი მოხდა..." ამის შემდეგ ქართველი დეპუტატი თანმიმდევრობით ჩამოთვლიდა და განმარტავდა, რა წაართვა და რას არ-

[2] ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისა. პარიზი. 1904, გვ. 29.

თმევდა რუსეთის ხელისუფლება ქართველ ხალხს: **სახელმწიფოს, სამშობლო ენას; ტერიტორიას; უმაღლესი სასწავლებლის უფლებას და სხვ.**

4. დაბოლოს, აკაკი ჩხენკელი აკონკრეტებდა და რეზიუმირებას უკეთებდა ყოველივე ზემოთქმულს: „თავისუფალ რუსეთში თითოეული ერი მიიღებს უფლებებს და ორგანიზაციებს, **ამ უფლებათა განსახორციელებლად.** ნებისმიერი სოციალური ორგანიზმი და ასეთ *par exellense*-ეს წარმოადგენს ერი...“ აქ შევწყვიტოთ ციტირება, რადგან ეს ფორმულაა, რომელიც პირველ რიგში ჩხენკელის თანაპარტიელებს ეხებოდა. სწორედ მათ უნდა შეეგნოთ, რომ ეროვნული ღირებულებების უგულებელყოფა შეუწყნარებელი იყო და ერის უფლებები სოციალ-დემოკრატებს უნდა დაეცვათ. თავად ის, როგორც მარქსისტი, როგორც სოციალ-დემოკრატი, მტრებსაც აფრთხილებდა და მოყვარე თანაპარტიელებსაც მოუწოდებდა, რომ:

„ჩვენ გამოვდივართ **ეროვნებასთან და აღმსარებლობასთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი კანონის გაუქმების მოთხოვნით, კერძოდ კი ებრაელთათვის ბინადრობის ადგილის შეზღუდვის გაუქმებისა, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა და მათი თავისუფალი თვითგამორკვევის, მშობლიური ენის ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში გამოყენების, თითოეული ერის თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი დაწესებულებების დაარსების მოთხოვნით**“[3]

აკაკი ჩხენკელის 1912 წლის 10 დეკემბრის გამოსვლას, თავი დავანებოთ სხვადახვა პოლიტიკური ძალებისა და იმპერიის ხელისუფლების აღქმებს, ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ქართველი სოციალ-დემოკრატების წინაშე ეროვნულ საკითხს პრინციპულად, სოციალურ პრობლემატიკასთან ერთად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭა.

აკაკი ჩხენკელის მიერ ეროვნული პოზიციის აქტუალობის წამოყენება, გასცდა ქართულ რეალობას და საერთ-საიმპერიო რეზონანსი მიიღო. ჩხენკელის გამოსვლიდან სამი კვირაც არ იყო გასული, რომ მისი პოზიცია განხილვის საკითხად იქცა რსდმპ-ის ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირზე – 1912-1913 წლების 26 დეკემბერ-14 იანვრის დღეებ-

[3] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი. თბ. 2018, გვ. 49.

ში. თათბირზე მიიღეს ვლადიმერ ულიანოვის მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომლის მეხუთე პუნქტი უშუალოდ ეხებოდა „ამხ. ჩხენკელის“ მიერ წამოყენებულ ინიციატივას და მის შეურიგებელ კრიტიკას შეიცავდა. მასში ვკითხულობთ: „ამხ. ჩხენკელის მიერ (სოციალ-დემოკრატიული – დ.შ) ფრაქციის სახელით – კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დაცვა ყოველი ეროვნების განვითარებისათვის აუცილებელი ორგანიზაციების შექმნის სახით თითოეული ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის, თავისთავად წარმოადგენს პარტიული პროგრამის პირდაპირ დარღვევას არსებითად ზუსტად ასეთივე ფორმულირება უარყოფილი იქნა სპეციალური კენჭისყრით, პარტიის მეორე ყრილობაზე, რომელმაც პროგრამა დაამტკიცა“. ლენინის განრისხება ამით არ დასრულებულა და რეზოლუცია დაასკვნიდა რომ „დათმობა ნაციონალისტური განწყობებისადმი, თვით ამგვარ დაფარული ფორმებითაც კი დაუშვებელია პროლეტარული პარტიისათვის“.[4]

რუსული ბოლშევიზმის ბელადის გაღიზიანება ქართველი პატრიოტ-სოციალ- დემოკრატის ღირსებაზე მეტყველებდა და აკაკი ჩხენკელმა განაგრძო თავისი ეროვნულ- სოციალური ღირებულებების კიდევ უფრო ენერგიულად დაცვა.

ასე რომ ცალკეული ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთ-ერთი პირველები იყვნენ იმპერიის ოპოზიციურ-რევოლუციურ სივრცეში, რომელნიც დაუპირისპირდნენ რსდმპ-ს გენერალურ ხაზს ეროვნულ საკითხში. სწორედ ერთ-ერთი პირველთაგანი ამ მხრივ გახლდათ აკაკი ჩხენკელი.

ჯერ კიდევ 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა არჩილ ჯორჯაძის წერილების სერია: „შეთანხმების იმედი“. სოციალისტ-ფედერალისტების მთავარმა იდეოლოგმა შეაჯამა ქართულ პრესაში მიმდინარე დისკუსიის შედეგები ეროვნული საკითხის შესახებ და დაასკვნა, რომ სოციალ-დემოკრატიაში შეინიშნებოდა „დიდი რყევა და გამოურკვევლობა". პუბლიცისტმა ნოე ჟორდანიას მიერ წამოჭრილ საოლქო თვითმმართველობაში „ავტონომიის აჩრდილი“ შენიშნა; ხოლო მისივე აზრით აკაკი ჩხენკელი კულტურულ ავტონომიას აღიარებდა და „ოლქებრივ თვითმმართველობას ისეთის შიშით და ზიზღით უყურებდა როგორც ფაუსტი ეშმაკს“. „ქართველი სოციალ-დემოკრატია დაიძრა ძველ პოზიციიდან

[4] В. И. Ленин. Полное собрание сочинений. Издание пятое. Том 22. Москва. 1968. გვ. 263.

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში“[5] – დაასკვნიდა . სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი იდეოლოგი.

ამავე წერილში ჯორჯაძემ არამარტო გამოყო ა. ჩხენკელის პიროვნება სხვა სოციალ-დემოკრატი ლიდერებისაგან, არამედ მოგვცა მისი ერთ-ერთი – ადრეული პიროვნულ-მსოფლმხედველობრივი დახასიათება: „სცენაზე გამოდის ახალი მოქმედი პირი - ბ-ნი ჩხენკელი, რომლის ნაწერებს ეროვნული საკითხის შესახებ გულდასმით უნდა დავაკვირდეთ, რადგან ამ ნაწერებში თვალსაჩინოდ სჩანს ის დიდი რყევა და გამოურკვევლობა, რომელიც ამჟამად სუფევს ქართულ სოციალ-დემოკრატიაში. ბატონი ჩხენკელი გულახდილი მწერალია და ხშირად ამბობს იმას, რის თქმასაც ვერა ჰბედავენ მისი ამხანაგები“. ეს შეფასებაც ზემოაღნიშნულ წერილშია: „შეთანხმების იმედი“.

გამბედაობა ნამდვილად არ აკლდა აკაკი ჩხენკელს, სხვა მრავალ დასაფასებელ თვისებებთან ერთად. 1915 წელს მან ქუთაისში გამოსცა მცირე ზომის წიგნი: „ერი და ჩვენ“. ამ წიგნაკით ა. ჩხენკელი პოლემიკურად დაუპირისპირდა – თავის პარტიულ თანამებრძოლს და თვით ქართველი სოციალ-დემოკრატების დალაი-ლამას (ა. ჯორჯაძე) ნოე ჟორდანიას. ამჯერად, იმდენად საკამათო თემატიკას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც თვით ფაქტს – თანაპარტიელის მხრიდან პარტიულ ლიდერთან პოლემიკური დაპირისპირება – პარტიულ განხეთქილებას ნიშნავდა, თანაც ისეთ პრინციპულ საკითხში, როგორიც ეროვნული პრობლემა იყო.

მაგრამ ეს კიდევ არ იყო მთავარი. ამ დროისათვის აკაკი ჩხენკელი იმპერიის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს – სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი აქტიურობით გამორჩეული დეპუტატი გახლდათ და ორ ავტორიტეტს შორის პოლემიკა უაღრესად პრინციპულად უნდა შეფასებულიყო. ერთ-ერთ მხარეს უნდა დაეთმო ან აზრთა და პოზიციათა წინააღმდეგობა შენარჩუნებულიყო, რაც გაუგებრობას და გაურკვევლობას მოასწავებდა პარტიაში. აზრთა სხვაობა ერთ საკითხამდე შეიძლება დავიყვანოთ. ჩხენკელი ასაბუთებდა, რომ ადრე გაბატონებული იყო კოსმოპოლიტური შეხედულება, რომელიც ერებს ნაკლებად სცნობდა და ნაკლები ანგარიში ეწეოდა. ახლა, კოსმოპოლიტიზმი შეცვალა ჭეშმარიტმა ინტერნაციონალიზმმა, რომელიც ერთა და ეროვნებების არსებობას და ერთობას ნიშნავდა და ეს გარემოება ზრდიდა ეროვნული საკითხის აქტუალობას.

[5] ა. ჯორჯაძე. შეთანხმების იმედი (1903 წლიდან 1909 წლამდე). თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი პირველი. ტფ. 1911, გვ. 270.

ერთი სიტყვით, პარტიაში ერთ-ერთ ხაზს უნდა გაემარჯვა. თუ ჩხენკელის წიგნის გამოსვლის შემდგომ მოვლენებს გავიხსენებთ, ისე ჩანს, რომ ჟორდანიამ გარკვეულწილად უკან დაიხია და ეროვნული საკითხის მეტი ანგარიშგაწევისაკენ გადადგა ნაბიჯები. რა გვაქვს მხედველობაში? ჩვენთვის ცნობილია რომ 1915-1917 წლებში ქართველმა სოციალ-დემოკრატმა ლიდერებმა სწორედ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, რამდენიმე შეხვედრა გამართეს სხვა ქართულ პარტიებთან და მათ შორის სეპარატისტულ „ქართულ კომიტეტთან" – ქუთაისში და თბილისში. ამ შეხვედრებზე მოხდა პრინციპული შეთანხმება. ისევ ნოე ჟორდანია ვალაპარაკოთ. ამ შეხვედრების შემდეგ ჟორდანია დაასკვნიდა: „აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით – ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურათ უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოებაში – არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა".[6] იგივე ტაქტიკა მიიღო ლანჩხუთის სოციალ-დემოკრატიულმა კონფერენციამ, ჟორდანიას ცნობით.

რა მოხდა? ნოე ჟორდანიას და ქართული სოციალ-დემოკრატიის გეზის ცვლილება ეროვნული საკითხის გათვალისწინებისაკენ, სახეზე იყო. რატომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ აკაკი ჩხენკელმა, ვითარცა თანაპარტიელმა, თანამებრძოლმა მეგობარმა, ეროვნული საკითხის უკვე პროფესიონალმა სწავლულმა და აღიარებულმა ავტორიტეტმა – უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჟორდანიასა და პარტიაზე, ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე? აქ ორივე ლიდერის პიროვნულ-მენტალურ თვისებებსაც მიუძღოდა თავისი როლი. აკაკი ჩხენკელი პრინციპულ პოლემისტთან ერთად კეთილგანწყობილი კოლეგა და მეგობრული ნატურა გახლდათ, ხოლო ჟორდანია კომპრომისულობისაკენ განწყობილი პიროვნება იყო. ჩხენკელი მეგობრულად ურთიერთობდა მიხაკო წერეთელთან, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ლამის ტყავი გააძრო მისი „ერი და კაცობრიობისათვის". მასთანაც ასე იყვნენ განწყობილნი სხვა პარტიების ლიდერებიც კი – ძმაო აკაკი – ასე მიმართავდა მას ერთ წერილში – სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე,

ასე ჩამოყალიბდა ის, რასაც ჩვენ ვუწოდეთ – აკაკი ჩხენკელის ფაქტორი. ჩვენ ვგულისხმობთ გარემოებას, რომ ქართველ სოციალ-დემოკ-

[6] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 72.

რატთა შორის, აკაკი ჩხენკელმა ჩამოაყალიბა ყველაზე თანმიმდევრული და ერთადერთი ჯანსაღი პოზიცია, ეროვნულ საკითხში. ეს ერთი და მეორე – ჩხენკელის მიერ შემუშავებული კონცეფცია აღმოჩნდა ფაქტორი, რომელმაც ყველაზე მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა მარქსისტმა მოღვაწემ – მოახდინა განმსაზღვრელი გავლენა ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნული ორიენტაციის მიმართულებით ევოლუციის პროცესზე ანუ ევოლუციაზე, რომელსაც ჯერ კიდევ 1919 წელს გამოცემულ ნაშრომში გერონტი ქიქოძემ უწოდა – „სოციალიზმის ნაციონალიზაცია“.[7] აქ პირველ რიგში იგულისხმებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ნაციონალიზაციის პროცესი.

ჩვენ რა თქმა უნდა შორს ვართ იმისაგან, რომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის პრიორიტეტი დავუკარგოთ შესანიშნავ პატრიოტ სოციალ-დემოკრატ მოღვაწეს ვლადიმერ დარჩიაშვილს, მის მიერ დაარსებულ გაზეთ „ალიონსა“ და მის ჯგუფს. მაგრამ ამ უკანასკნელთა საპატიო მოღვაწეობას იმდენად დიდი გამოხმაურება და გავლენა ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე არ მოუხდენია, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის რეზონანსულ პოზიციას. ყოველივე ზემოთქმულს კი იმით შევაჯამებთ, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ სივრცეში, 1912-1915 წლებში, ჩამოყალიბდა თავისებური ჩხენკელის ფაქტორი, რომელმაც განმსაზღვრელი, მაორიენტაციებელი გავლენა მოახდინა საქართველოს მარქსისტული მოძრაობის შემდგომ ევოლუციაზე – ეროვნული ღირებულებების მიმართულებით. ასე შევიდა ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის რევოლუციების ახალ ეტაპზე – 1917 წელს.

ამ წლის თებერვალ-მარტის მოვლენებზე ყურადღებას არ შევაჩერებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის უაღრესად აქტიური საქმიანობა, რომელიც ტონის მიმცემი იყო ამიერკავკასიაში განვითარებული მოვლენებისათვის, ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა. რა თქმა უნდა არამარტო ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის და პოლიტიკური პროცესების მთავარი ლიდერი ნოე ჟორდანია გახლდათ, ის იყო ყველანაირი საბჭოების, პრეზიდიუმების, აღმასკომების და ა. შ. თავმჯდომარე და აღიარებული ლიდერი.

მაგრამ თუ დავაკონკრეტებთ, ის უფრო სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა – თბილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა

[7] გ. ქიქოძე. ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია. თბ. 1919.

საბჭოებს ეროვნულ-პოლიტიკური აქტივობების მთავარი ფიგურა თავიდანვე გახდა აკაკი ჩხენკელი., თუმცა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობისა და ლიდერობის ქოლგის ქვეშ. ამგვარი სუბორდინაცია გრძელდებოდა მაშინაც, როცა აკაკი ჩხენკელი იყო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი და ოფიციალურად უმაღლესი აღმასრულებელი სტრუქტურის წარმომადგენელი – მხარეში. მიუხედავად ყველაფრისა, ის უსიტყვოდ ემორჩილებოდა ქართულ-კავკასიური სოციალ-დემოკრატიის აღიარებულ ლიდერს ნ. ჟორდანიას, მოქმედებდა მისი მითითებებით. სხვებიც.

აკაკი ჩხენკელმა სრულიად განსაკუთრებული და უნიკალური როლი ითამაშა საქართველოს წამყვანი პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესის წარმართვაში. სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებს 1917 წლის აპრილში. იმავე წლის აგვისტოში იგი ხელმძღვანელობდა ჯერ „ქართველი ერის ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს“ და მის პრეზიდიუმს, შემდეგ „საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს“ და მის „აღმასრულებელ კომიტეტს“. ინტერპარტიული საბჭო. თვეების მანძილზე ფაქტობრივად საქართველოს საპარლამენტო და აღმასრულებელი სამთავრობო სტრუქტურის ფუნქციას ასრულებდა. მანვე ჩაატარა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და უფლება-მოვალეობანი გადააბარა 1917 წლის ნოემბერში შექმნილ საქართველოს ეროვნულ საბჭოს – ქვეყნის ფაქტობრივ ხელისუფლებას და მის ლიდერს ნოე ჟორდანიას.

ისტორიკოსმა დოდო ჭუმბურიძემ ყურადღება მიაქცია აკაკი ჩხენკელის განსაკუთრებულ დამსახურებას პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის პროცესში და სავსებით სამართლიანადაც. როდესაც ნოე ჟორდანიას გასვლით, ინტერპარტიულ საბჭოს დაშლის საფრთხე დაემუქრა და ყრილობის მოწვევაც ჩაშლის საშიშროების წინაშე დადგა, აკაკი ჩხენკელმა საკუთარ თავზე აიღო პასუხიმგებლობა. მკვლევარი წერს: „ჟორდანიასთან ისედაც დაპირისპირებული აკაკი ჩხენკელი არ მოერიდა უხერხულ სიტუაციას, თავის თავზე აიღო და 17 ოქტომბერს ჩაატარა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება ეროვნული ყრილობის საჩქაროდ მოწვევის შესახებ“.[8]

[8] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 109.

როგორც ამას წინათ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში დავასაბუთეთ, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებამდე, ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა მოძრაობამ ოთხი ეტაპი გაიარა. ამ ეტაპების განმავლობაში, ქართული პოლიტიკური ელიტა, თანმიმდევრულად ახორციელებდა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ საფეხურებს, სტადიებს თუ ეტაპებს. როგორც ვნახეთ, აკაკი ჩხენკელის დამსახურება საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ პირველ ეტაპზე – უნიკალური და განსაკუთრებული იყო ანუ ჩხენკელის ფაქტორის გამო – 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან ნოემბრამდე – ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს დიდმნიშვნელოვანი როლის წარმართვით, დანარჩენ ეტაპებს მოკლედ ჩამოვთვლით.

1917 წლის ნოემბრიდან დაიწყო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი – ამიერკავკასიის კომისარიატისა და ეროვნული საბჭოს შექმნის დროიდან.

1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის სეიმის შექმნით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მესამე ეტაპს ჩაეყარა საფუძველი, ხოლო 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარირებით დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მოძრაობის მეთხე და დამამთავრებელი ეტაპი. ამ დროისათვის, საქართველო, ისევე როგორც – ადერბაიჯანი და სომხეთი, ფაქტობრივად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომელთა ერთიანობა ქმნიდა კონფედერაციულ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოს. კონფედერაციის შემადგენელ სამ ქვეყანას, შინაურ საქმეებში წარმართავდა ეროვნული საბჭოები. საქართველოში აღარ იდგა რუსეთის ჯარი, რაც ზემოაღნიშნულ პროცესებს თავისუფალი განხორციელების საშუალებას აძლევდა.[9]

რაც მთავარია, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე იმყოფებოდა ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი ლიდერი აკაკი ჩხენკელი. მისმა პოლიტიკურმა როლმა და ე.წ. ჩხენკელის ფაქტორმა განაპირობა მისი მაღალი პოსტიც – ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეობა.

დაბოლოს, ბათუმის კონფერენცია, ოსმალეთის იმპერიისა და ამიერკავკასიის დელეგაციათა მოლაპარაკებები, რომლის პროცესშიც აკაკი

[9] დ. შველიძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი). თსუ საქართველოს ინსტიტუტის შრომები. ტ. XVIII. თბ. 2022, გვ. 358.

ჩხენკელის გადამწყვეტი მონაწილეობა კარგადაა ცნობილი – მან კატალიზატორის როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესში; მისი განთქმული ინსტრუქციები ბათუმიდან, რომლებსაც დაძაბული ელოდებოდა თბილისში ეროვნული საბჭო და მისი აღმასკომი; მითითებები, რომლებსაც ყოველდღიურად ავად თუ კარგად ასრულებდნენ საბჭო, აღმასკომი თუ მისი მეთაურები – ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვანი. მოკლე ინფორმაციებისაგან შემდგარი ქრონიკის სახით გავიხსენოთ ბათუმის ბატალიები.

ბათუმის კონფერენციის ქრონიკა

1918 წლის 11 მაისი – ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჰალილ ბეიმ განაცხადა, რომ ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები. ოსმალეთის ხელში უნდა გადასულიყო ახალციხე-ახალქალაქის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრები.

13 მაისი – ამიერკავკასიელთა მემორანდუმის მიხედვით, ოსმალეთის მიერ წამოყენებული პირობები უნდა განეხილა ოსმალეთის მოკავშირეებს და არა მარტო ოსმალეთს.

14 მაისი – ოსმალეთის დელეგაციამ დამატებით მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გადაცემა. გერმანელთა რჩევით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სთხოვა გერმანიას, დახმარება გაეწია პოლიტიკურ-სამართლებრივ და უსაფრთხოების საკითხებში.

15 მაისი – ა. ჩხენკელი წერილს წერს, ბათუმიდან თბილისში ნ. ჟორდანია: „შენი ტაქტიკა დამღუპველია, ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან.. უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ მიზეზის გარეშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის მისაღებ პირობებში. მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით... ასე, მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას... თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, ... თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ, პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“,[10] აქვე აღვნიშნავთ

[10] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 134, 139.

ერთ საინტერესო დეტალს. წერილს ახლავს ნიკო ნიკოლაძის მინაწერი: „ამ პოლიტიკას სავსებით ვიზიარებ და ვეთანხმები" – ესეც დიდ სამოციანელებთან მიჩქმალული, უხილავი კავშირი და მემკვიდრეობა.

16 მაისი – ეროვნული საბჭოს აღმასკომმა აირჩია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოსამზადებელი კომისია (ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე, შ. ალექსი-მესხიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილება მიღებული იყო, თბილისში პროცესი ჭიანურდებოდა ეროვნული საბჭოს ზოზინით შეშფოთებული ა. ჩხენკელი ყოველდღიურად გზავნიდა ტელეგრამებს და აჩქარებდა თავის პარტიულ ამხანაგებს: „ასეთ კრიტიკულ მომენტში პირდაპირ დანაშაულია ზიგ-ზაგი, შიში. საჭიროა გამჭრიახობა, სიმტკიცე და გამბედაობა... ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ. მაშ, საჭიროა გამბედაობა და გამბედაობა!"[11] და ა. შ.

აღარ გავაგრძელებთ. ჩხენკელის მოწოდებები ცნობილია. მათი გახსენება მხოლოდ იმისათვის ვცანით საჭიროდ, რომ მათზე ფოკუსირება მოვახდინოთ და მისი, ე. ი. აკაკი ჩხენკელის გადამწყვეტი როლი ვცნოთ დამოუკიდებლობის გამოცხადების უშუალო პროცესში. ახლა უფრო რელიეფურად შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი ფაქტორის გავლენა საკუთარ თანაპარტიელებზე, რომელნიც, ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ზოგნი მისივე შეფასებით ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, შიშობდნენ, ფრთხილობდნენ.

ცხადია, დამოუკიდებლობის წლები ახალი ეტაპი იყო აკაკი ჩხენკელის სახელმწიფო მოღვაწეობისთვის, განსაკუთრებით პირველი ექვსი თვის მანძილზე, როცა ის საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. მაგრამ ნოემბერში, გერმანიის დამარცხების შემდეგ, ა. ჩხენკელი ყოველგვარი თანამდებობის გარეშე დარჩა იგი როგორც ყოფილი „გერმანოფილი" ქართველი მინისტრი, უაღრესად არასასურველი პერსონა აღმოჩნდა ანტანტის სახელმწიფო და დიპლომატიური ელიტისათვის, რომელიც მსოფლიოს ბატონპატრონად მოევლინა. ჩხენკალი სულ ცოტა ხანს მაინც, ჩრდილში უნდა

[11] აპ. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თბ. 1998, გვ. 135-137.

დარჩენილიყო. საქართველოში და მსოფლიოში ახლა ანტანტის ეპოქა იწყებოდა.

ჩხენკელი შვეიცარიაში დამკვიდრდა, მაგრამ პასიურობა საერთოდ არ უფიქრია. იგი კვლავინდებურად აქტიურ პიროვნებად დარჩა, რომელიც თანამოაზრეებისთვის, თანამებრძოლებისათვის, განურჩევლად მათი სტატუსისა და თანამდებობრივი თუ პარტიული მდგომარეობისა, მუდმივი მრჩეველი, მუდმივი იდეოლოგი და მტკიცედ ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების პროპაგანდისტი დარჩა.

დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ევროპული საქართველო – აი აკაკი ჩხენკელის მუდმივი საზრუნავი თავისთვის და სხვებისთვის. „ჩემი ქვეყნის ბედი არ მასვენებს, ლანდად ქცეული თან დამდევს“[12] – წერდა „დღიურში“ ა. ჩხენკელი. „დასავლეთ ევროპასთან პირდაპირი ეკონომიკური და კულტურული მიმოსვლა არის ბაზა ჩვენი ქვეყნის აყვავებისა. თუ ჩვენი ერი გაევროპიელდა ყოველმხრივ ის ევროპელზე უარესად არ მოიხმარს ამ გარდაქმნას, იქნება პროგრესისა და სოციალური სამართლიანობის მატარებელი“.[13]

სამწუხაროდ, ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის ყველა არ აღმოჩნდა აღნიშნული ტრიადის ერთგული, ისეთი როგორიც უნდა ყოფილიყო. აღმოჩნდნენ დამოუკიდებლობის მერყევი, არამტკიცე, არათანმიმდევრული პოლიტიკოსები, რომლებსაც აშინებდათ რუსეთისაგან საბოლოოდ ჩამოშორების პერსპექტივა და მზად იყვნენ ისევ „დემოკრატიულ რუსეთთან“ რამენაირი გაერთიანებისა. ასეთები იყვნენ თვით სოციალ-დემოკრატ ლიდერთა შორის. მაგ., აკაკი წერეთელს ეძნელებოდა რუსეთის ორიენტაციის „სამუდამოდ დათმობა“, ხოლო ევგენი გეგეჭკორი კაკისავით „რუსეთისაკენ იყურებოდა“.[14]

აკაკი ჩხენკელი აღშფოთებული იყო უკრაინაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის ბიქტორ თევზაიას ორჭოფული გამონათქვამებით, რომელიც იმის მაგივრად რომ მტკიცედ მდგარიყო „მხოლოდ და მარტო დამოუკიდებლობის პოზიციაზე“, „ის წაღმა-უკუღმა ეუბნება ყველას, რომ საქართველო, შესაძლოა, ისევ რუსეთს დაუბრუნდესო!“. მეტიც, თევზაია აპირებდა იმ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, რომლის მიზანიც იყო კვლავ რუსეთის მთლიანობის აღდგენა. ჩხენკელი

[12] ა. ჩხენკელი. დღიურები. წიგნი პირველი. 1918-1921. მთ. რედ. ზ. გაიპარაშვილი. გამოცემაზე მუშაობდნენ: გ. ჯავახიშვილი, ს, ჭანტურიძე და სხვ. თბ. 2021, გვ. 42.
[13] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 80.
[14] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 29.

გარდა დღიურული ჩანაწერებისა, საჯაროდაც გამოთქვამდა თავის აღშფოთებას. 1918 წლის ნოემბერში ის პირადად თევზაიას წერდა მკვახე წერილს და მიუთითებდა, რომ რუსეთის გაერთიანების მომხრე კონფერენციაზე არ უნდა წასულიყო, რადგან „ჩვენი მთავრობა დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას“, ხოლო რაც შეეხება რუსეთს „ის, უცხოეთია ჩვენთვის“.[15]

საგარეო ექსმინისტრის შიში, მის პარტიულ ამხანაგებში გავრცელებული რუსოფილური განწყობების გამო იმდენად სერიოზული იყო, რომ 1918 წლის 29 სექტემბერ-ნოემბერში თავის წუხილს უზიარებდა თანამოაზრეს და მეგობარს – ნოე რამიშვილს. „არათუ ჩვენი პარტია საერთოთ, არამედ ხელმძღვანელნიც რაღაც რყევაში არიან, მათ თითქო არ სჯერათ გულის სიღრმეში დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, ზოგს შეიძლება არცა სურს ეს...“[16]

რას ურჩევდა, თხოვდა და მიუთითებდა ჩხენკელი თავის თანამებრძოლ საქართველოს მმართველებს; რატომ „აბეზრებდა მთავრობას თავს“, როგორც აღიარებდა? იმის გამო, რომ ქვეყნის და სახელმწიფოს ინტერესები პირველ რიგში დაეყენებინათ და არა – პარტიული ან პირადი ინტერესები;

იმის გამო, რომ პარიზის კონფერენციაში გასაგზავნ დელეგაციაში, ერთ-ერთი დელეგატი ყოფილიყო გამოცდილი ზურაბ ავალიშვილი და არ შეედგინათ დელეგაცია მხოლოდ პარტიული ნიშნით. ამან გამოიწვია ის წინდაუხედაობა, რომ დელეგაციამ არ ინახულა კონფერენციის წამყვანი ფიგურა კლემანსო, რაც დაუშვებელი იყო;

იმის გამო, რომ მარტო კარგი კანონების გამოცემა არ იყო საკმარისი, არამედ – მისი შესრულების აუცილებლობა;

იმის გამო, რომ უფრო ენერგიულად ეძებნათ მფარველ-მოკავშირე სახელმწიფო, რათა თავი დაეცვათ რუსეთისაგან. ვინც არ უნდა ყოფილიყო ასეთი სახელმწიფო, თუნდაც ინგლისი;

იმის გამო, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, ვოიტინსკი იგზავნებოდა პარიზში, რათა სათავეში ჩადგომოდა საქართველოს დელეგაციის საინფორმაციო სამსახურს და ეს დაუშვებელი იყო, რადგან ვოიტინსკის „კრედო ხომ რუსეთის აღდგენაა ძველ საზღვრებში“[17] და ა. შ.

---

[15] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 161.

[16] დ. ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გვ. 155.

[17] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 138-139.

გადაყენებული და შვეიცარიაში განმარტოებული ექსმინისტრი, რჩევა-დარიგებებს და მითითებებს არ აკლებდა თავის ლიდერ თანამებრძოლებს, არც ევროპაში და არც საქართველოში. ჩანს, რომ მის გზავნილებს შედეგი მოჰქონდა და კმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა 1919 წლის 10 იანვრის ჩანაწერში: „აი უმთავრესი ამბები. მთავრობას, როგორც ვატყობ, მიუღია უმეტესი ჩემი წერილებისა და დეპეშებისა. ის გულმოდგინედ შედგომია ქვეყნის განმტკიცებას და მის დამოუკიდებლობის დაცვას. თვით დიდი რუსოფილი გეგეჭკორი იწერება, ადერბაიჯანის პოლიტიკური წრეები რუსეთის ორიენტაციისკენ იხრებიან, ჩვენ კი მაგრათ ვართო!“[18] ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩება, რომ საქართველოს რეალური საგარეო მინისტრი ყოფილ მინისტრს ანგარიშს აბარებდა.

ამგვარ ვითარებაში, 1920 წლის დასაწყისშია კაკი ჩხენკელი საქართველოში დააბრუნეს. დაბრუნებისთანავე ის აირჩიეს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარედ. ამიერიდან მას ეძლეოდა საშუალება ახალი მდგომარეობიდან გაეგრძელებინა საქმიანობა მთავრობაზე ზემოქმედების მოსახდენად, რასაც მან სამშობლოში ჩამოსვლისთანავე შეუდგა. ცხადია, „ჩხენკელის ფაქტორი“ უფრო გაძლიერდა.

დამფუძნებელი კრება 1920 წლის 14 იანვარს საზეიმო სხდომით მიესალმა ანტანტის მიერ საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობის ცნობას. სხდომის ყველა მონაწილე და გამომსვლელი ემოციურად მიესალმებოდა დიდმნიშვნელოვან ფაქტს. მხოლოდ ერთი მოხსენება განსხვავდებოდა სხვა გამომსვლელთა სიტყვებისაგან და თვით ჩხენკელიც აღიარებს, მხოლოდ ჩემმა გამოსვლამ შეიტანა საერთო განწყობაში – დისონანსიო.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა იყო, როგორც ყოველთვის – კრიტიკული, საქმიანი და მწყობრი სამოქმედო გეგმის შემცველი.

1. მან შეაფასა დასავლეთის წამყვანი ერების მიერ საქართველოს დე ფაქტო ცნობა, მაგრამ ამავდროულად წამოაყენა დე იურედ ცნობის აუცილებლობა, რაც ანტანტის სახელმწიფოებმა არ გააკეთეს. ისინი უნდა მოქცეულიყვნენ ისე როგორც მოიქცა არგენტინა, რომელმაც საქართველოს დე ფაქტო და დე იურე დამოუკიდებლობა სცნო ერთდროულად. „მე ვფიქრობ და იმედს გამოვსთქვამ, რომ ისინი მისდევენ მაგალითს სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკის არგენტინისა, რომელმაც გვიცნო ჩვენ არა

[18] ა. ჩხენკელი. დღიურები, გვ. 52.

მარტო ფაქტიურად, ფორმალურადაც (ტაში)“.[19]

2. აკაკი ჩხენკელმა ყურადღება მიაქცია საქართველოსა და ამიერკავკასიის „საკვანძო“ მდებარეობას, რასაც დღეს გეოპოლიტიკურ ხელსაყრელობას ვუწოდებთ – ევროპასა და აზიას შორის. მან წამოაყენა ფორმულა, რომ საქართველოს „ყელის“ მდებარეობა ეკავა ამიერკავკასიაში. ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ ევროპას ესმოდა ამიერკავკასია-საქართველოს მნიშვნელობა ევროპა-აზიის მშვიდობიან ურთიერთობაში. „ამიერკავკასიაში და საქართველოში ისკვნება ერთგვარი კვანძი ევროპასა და აზიას შორის“.

3. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ აკაკი ჩხენკელმა 14 იანვრის სხდომაზე წამოაყენა დიდ ბრიტანეთთან საქართველოს დაახლოებისა და მასზე ორიენტაციის აღების დოქტრინა. რა თქმა უნდა, არ ვამბობთ იმას, რომ ეს იდეა მანამდე არ არსებობდა საქართველოში. მაგრამ ბრიტანეთთან იმგვარ ურთიერთობას, რასაც დღეს სტრატეგიულს ვუწოდებთ, დაახლოებით ამგვარი პოზიცია იკვეთებოდა ჩხენკელის გამოსვლაში.

„რა თქმა უნდა – მიმართავდა ჩხენკელი კრებას და იქ მყოფ საზღვარგარეთის მისიებს, რომელთა შორის იყვნენ ბრიტანელებიც – ყველაზე უფრო ეს როლი ამიერკავკასიაში საქართველოსი ესმის დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს“. ჩხენკელს სურდა დაეფიქსირებინა „ის წერტილები, საიდანაც უნდა გამოვიდეთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს“. ჩხენკელს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ საქართველოსა და ბრიტანეთს შორის შესაძლებელი იყო, რომ გაჩნდა ახალი დაინტერესების მომენტი. „ჩვენ და ბრიტანეთს შორის ასეთი დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის საკითხი დაუკავშირდა საერთაშორისო საკითხს, დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის (საკითხი) საერთაშორისო საკითხად იქცა...“[20]

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობის ემოციურ-ისტორიული ეპიზოდიც გაიხსენა იმის დასადასტურებლად, რომ ბრიტანელები საქართველოს კულტურულადაც და ინტელექტუალურადაც კარგად იცნობდნენ. მან გაიხსენა 1909 წლის დეკემბერი, როცა მან ვარლამ ჩერქეზიშვილთან და კიდევ ერთ ქართველ ემიგრანტთან, ანდრონიკაშვილთან ერთად, გარდაცვალებული

[19] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V. თბ. 2019, გვ. 12.
[20] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V, გვ. 17.

მარჯორი უორდროპის დაკრძალვაზე ჩაიტანეს საქართველოდან გაგზავნილი სამგლოვიარო გვირგვინი და იქ კი გაიგეს გარდაცვლილის დანაბარები, სიკვდილის წინ: „თუ საქართველომ გამოგზავნოს გვირგვინი მხოლოდ ის ჩამატანეთ საფლავში და სხვა არაო". ჩხენკელისთვის და ქართველი საზოგადოებისთვის, და-ძმა უორდროპები ორი ქვეყნის ურთიერთობის სიმბოლოებად აღიქმებოდნენ, რომელთაგან – ოლივერი თითქოს ბედისწერით, იმხანად – ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი გახლდათ საქართველოში. „ეს ორი და-ძმა – მიმართავდა აკაკი ჩხენკელი კრებას, რაღაც სიმბოლიურს წარმოადგენს ჩვენთვის: და იყო, მე ვფიქრობ სიმბოლო ჩვენი ერის დიდ ბრიტანეთის ერთან, კულტურულათ, ინტელექტუალურათ დაკავშირებისა, ძმა კი არის ჩვენი სახელმწიფოს დიდ ბრიტანეთთან სუვერენულათ დამაკავშირებელი".[21]

ერთი სიტყვით, ჩხენკელმა ხელისუფლებას მიმართა რომ ფაქტობრივად დე ფაქტო ცნობით იწყებოდა ნამდვილი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ეტაპი, რომელიც გულისხმობდა მოკავშირე სახელმწიფოებთან და – დიდ ბრიტანეთთან განსაკუთრებულ პოლიტიკურ მუშაობას, რაც გულისხმობდა ამ უკანასკნელთა მფარველობა-მხარდაჭერას საქართველოსადმი.

ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი იმედები განწირული აღმოჩნდა და მას წინ გადაეღობა უფრო დიდი მასშტაბის საერთაშორისო მოვლენები. საქართველოს დიდ ევროპულ ოჯახში შესვლა იმხანად ვერ განხორციელდა. ჩვენი მიზანი იყო – დაგვესაბუთებინა აკაკი ჩხენკელის განსაკუთრებული როლი და დამსახურება – ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების ჯერ წამოჭრით, მერე იგივე ღირებულებების დანერგვით და მანვე – ყველაზე მეტად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული სოციალ-დემოკრატიის განაციონალების პროცესში. ამ მხრივ სრულიად შესაძლებელია და რელევანტური, რომ ვისაუბროთ აკაკი ჩხენკელის ფაქტორის შესახებ, რა თქმა უნდა სხვა გარემოებებთან ერთად – ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებებისადმი შემობრუნების პროცესში, რაც დაიწყო 1910-იანი წლებიდან და განსაკუთრებით რეალურად განხორციელდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამწლეულში.

აკაკი ჩხენკელმა ნამდვილად დაიმკვიდრა განსაკუთრებული და საპატიო ადგილი ქართველ მამულიშვილთა შორის.

[21] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V, გვ. 18.

Dimitri Shvelidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

THE AKAKI CHKHENKELI FACTOR*

Summary

The prominent Georgian Social-Democrat Akaki Chkhenkeli was elected in 1912 as a member of the Fourth State Duma of Russia. Initially, it was believed that A. Chkhenkeli supported cultural-national autonomy for Georgia. During his famous speech in the Duma on December 10, 1912, A. Chkhenkeli effectively put forward the demand for political autonomy for Georgia. The demands he listed corresponded more to political autonomy than to cultural-national autonomy.

He believed that Social Democrats should equally fight not only for social equality, but also for achieving national freedom.

A. Chkhenkeli's such national position was sharply criticized by V. Lenin and the Bolsheviks. Subsequently, the position of Lenin and the Georgian Bolsheviks was entirely shared by Soviet historiography.

Our goal was to substantiate Akaki Khankheli's special role and merit in Georgian Social-Democracy through the initial raising, and then the implementation, of national-state priorities. He, more than anyone else, played a decisive role in the process of the nationalization of Georgian Social-Democracy. In this regard, it is entirely possible to speak of the Akaki Chkhenkeli factor, in the process of Georgian Social-Democracy's turn toward national-state values - which began in the 1910s and was particularly realized during the three-year existence of the First Republic of Georgia. Akaki Chkhenkeli truly earned a special and honorable place among Georgian patriots.

For a long time, Soviet historiography labeled Akaki Chkhenkeli's national position as bourgeois-nationalist and believed that his goal was the restoration of a bourgeois-landowner state. An objective assessment of Akaki Chkhenkeli's work became possible in the conditions of modern free Georgian historiography.

* This research [FR-24-19560] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)